ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?

– ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის,
რა სიბნელეში დგას ცეცხლის სვეტი? –
– ეს ამ გულიდან სიმღერა იძვრის
და თან მოჰყვება მას სისხლის წვეთი.

– ეს რა შავბნელი კვამლი მოედო,
რა ბურუსები მოაქვს რგოლებად?
– ეს შენს სიმღერას და სისხლს, პოეტო,
თან მოსდევს წყევლა და დაბრკოლება.

– ეს რა გრიგალმა დაიწყო ძრწოლა,
რა ჟრუანტელი წყვდიადს აწუხებს? "
– ეს შენი ისმის სიმღერის ბრძოლა,
ბრძოლაზე ბრძოლით რომ უპასუხებს.

– ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,
რა ჟრიამულმა გადაიჟღერა?
– ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა!